№ 92 მაისი 3, ოთხშაბათი 1889 მაისი 3, ოთხშაბათი № 92


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


კვირას, 7 მაისს

მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

## სეირნობა

და

## ლატარია-ალლეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზედ. ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ღირება.

დაწვრილებით აფიშებშია გამოცხადებული

---

ტფილისი, 2 მაისი

ამ დღეებში რუსეთს გამოაკლდა ერთი შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე. პეტერბურგში, წარსულის თთვის 25-ს, გარდაიცვალა შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფი დიმიტრი ანდრიას ძე ტოლსტოი. განსვენებულმა თავისის ხანგრძლივის სამსახურის განმავლობაში იმდენად ღრმა კვალი დააჩნია რუსეთის შინაურს ყოფა-მდგომარეობასა და ვითარებას, იმის მოღვაწეობა იმდენად რთული და მრავალგვარი იყო, რომ დღეს ყოვლად შეუძლებელია იმისის მნიშვნელობის სრულად და სამართლიანად დაფასება. განსვენებული ჯერ დაინიშნა უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორად და შემდეგ საერო განათლების მინისტრად. 1882 წელს დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად და ამ თანამდებობაში იმყოფებოდა სიკვდილამდე. ამ სახით განსვენებულს სხვა-და-სხვა დროს ხელთ ეპყრა უმაღლესნი სახელმწიფო თანამდებობანი. ტოლსტოიმ თავისი ფერი დასდო საერო და სასულიერო განათლებას. იმისის მეცადინეობით რუსეთში დამკვიდრდა კლასიკური სისტემა განათლებისა. იმისავე მეცადინეობით დაარსდა მრავალი სასწავლებელი სხვა-და-სხვა ხარისხისა: 1866 წელს რუსეთში იყო მხოლოდ 222 საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი, 1880 წელს-კი ეს რიცხვი ავიდა 620-მდე. იმავე 1866 წელს იყო 1,005 პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, ხოლო 1880 წელს —24,853. შინაგან მინისტრად ტოლსტოი დაინიშნა 1882 წელს, სახელდობრ ისეთს დროს, როცა რუსეთის მართებლობას ეჭირვებოდა მხნე და ბეჯითი კაცი. ამ ხნიდგან ტოლსტოის ფართო გზა მიეცა და ამ თანამდებობაში გრაფმა გამოიჩინა მთელი თავისი რწმენა და მიმართულება. ამ ხნიდგან მოყოლებული რუსეთში არც ერთი ისეთი საშინაო საქმე არ დატრიალებულა, რომელშიაც გრაფს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს.

როგორც ვსთქვით, ტოლსტოის მოღვაწეობის სრული და სამართლიანი განხილვა და დაფასება მერმისს ეკუთვნის. როდესაც მერმისი გამოიკვლევს დღევანდელს ვითარებას რუსეთისას, მხოლოდ მაშინ დასდებს თავისს განაჩენს და ვრცელს ადგილს დაუთმობს გრაფს რუსეთის ისტორიაში. დღეს მხოლოდ ის უნდა ვსთქვათ, რომ გრაფი სწორედ იშვიათი კაცი იყო თავისის ხასიათით, სიმტკიცითა და ბეჯითობით. გრაფს არც ერთხელ არ უმტყუნებია თავის აზრისა და მიმართულებისათვის, არც ერთხელ არ დაუხევია უკან თავის მოწინააღმდეგეთა წინაშე და იმათ წინ თავი არ მოუხრია. ერთის სიტყვით, გრაფი ტოლსტოი ყოველთვის ერთისა და იმავე გზით მისდევდა... მიჰყვებოდა და ყოველს ღონეს ჰხმარობდა, რომ თავისი აზრი გაეტარებინა და დაემკვიდრებინა ცხოვრებაში. ეს იყო იმის მიზეზი, რომ გრაფმა რუსეთის შინაგანს ყოფა-ცხოვრებას ერთ გვარი ფერი და ხასიათი დასდო და რუსეთის შინაური პოლიტიკა ყველასათვის აშკარა იყო. ცხადია, რომ ამისთანა კაცის სიკვდილს რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ტოლსტოის ხასიათისა და აშკარა მიმართულების კაცი დღეისათაც სანთლით საძებნელია.

ვიმეორებთ, ტოლსტოის მოღვაწეობა იმდენად რთული და დიდის მნიშვნელობისაა, რომ დღეს სრული იმისი დაფასება შეუძლებელია და ამიტომ ვახსენეთ მარტო განსვენებულის გრაფისსიმტკიცე, ბეჯითობა და ერთს აზრზედ შეურყეველად დგომა.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** ჩვენი ტფილისი დღეს მოელის სპარსეთის შაჰს, ნასრ-ედინს. შაჰს თან ახლავს დიდი ამალა. ამ ამალაში ოთხი მინისტრია: პირველია მირზა-ალი-ასკარ-ხან-ემინ-სულტანი, რომელსაც მთავარ მინისტრის ადგილი უჭირავს. მთავარ-მინისტრი სულ ყმაწვილი კაცია, ასე 30 წლისა. 26 წლისამ მიიღო თანამდებობა მთავარ-მინისტრისა. ჯერ ისევ ოცის წლისა იყო, რომ მის უდიდებულესობის შაჰის კამერგერად იყო დანიშნული. სამის წლის შემდეგ მიიღო მთავარ-მინისტრობა. 1887 წლიდამ ამ მინისტრს უკვე ხელში უჭირავს შინა და გარე საქმენი სპარსეთისა. ემინ-სულტანს სპარსეთის მეტი ქვეყანა ჯერ არ უნახავს და ევროპაში ეხლა მიემგზავრება პირველად.

მეორე მინისტრია თავმჯდომარე სახელმწიფო საბჭოსი და გზათა მინისტრი მირზა ალი-ხანი. ეს მინისტრი ევროპულად განათლებული კაცია, ზედ-მიწევნით იცის უცხო ენები, მეტადრე ფრანგული. შაჰს წინადაც ჰხლებია ევროპაში მოგზაურობის დროს. მირზა-ალი-ხანის მამაც დამსახურებული მინისტრი იყო. მირზა-ალი-ხანი ყმაწვილობითვე ძრიელ ეტანებოდა ევროპის განათლებასა და მეცნიერებას. 24 წლისა ძლივს იყო, რომ შაჰმა მდივნად დანიშნა სასახლეში. მერე გზათა მინისტრობაც მალე უბოძა და საფოსტო საქმეც მასვე ჩააბარა. ფოსტა სრულიად არ იყო სპარსეთში ამ მინისტრის დანიშვნამდე: ქარვანებს ატანდნენ წერილებსა და ამანათებს; მარკების ხმარებაც ხომ სულ არ იცოდნენ. ამ მინისტრმა დააწესა კანონიერი ფოსტა, ჩაფარ-ხანა, და მარკებიც შემოიღო. ამავე მინისტრს აბარია თავმჯდომარეობა უმთავრესის სათათბიროსი. განათლებული მირზა-ალი-ხანი ბევრ გვარად სცდილობს თავის ქვეყნისათვის, ეტანება ევროპიულის წეს-წყობილების შემოღებას ცხოვრებაში, მაგრამ დანარჩენი გაუნათლებელი და მამაპაპურის წესების მიმდევარი ამხანაგნი აბრკოლებენ და ხელს უშლიან.

---

# ფელეტონი

სცენები

ფშავლების ცხოვრებიდამ.

სცენა I

ყორად ხათანგო!

იორამი. ბიჭოო! ბექანო, სად ხარ ეეე!?

ბექანი. აქა ვარ. რა გინდა ეე?

იორამი. აბა, შენი ჭირიმე, ცხვრები ან ბატკნები ფარეხს გარეთ არა დაგრჩეს: ყველას თავ-თავის ბინა მიეც. ე თოხლის ხორციც ჩასჭერ საყაურმედა... წყალზე მიველ.

ბექანი. აგრეე, აგრეე... ძაღლებისად ხო არ გიჭმევავ ბიჭო?!

იორამი. არა, არაა... მე თავად ვაჭმევ, შენ დარდი ნუ გაქვ მაგეებისა (მიეფარება გორას).

ბექანი (ცხვრებს). ნტრიე, ნტრიე, ნტრიეეე! ამუჩი, აგამუჩი, შე მუდრაგო, რას ეხეტებ-ებეცები? ქსსს! შალაგდით, შალაგდით, თქვენის ღმერთის ჭირიმე.

იორამი (ქოხში წყალს შეიტანს, გამოჩნდება სელ-ქვაბიანი და ძაღლების გუჯის ჭირას დგება ძაღლებს). აა აბდულავ, ა ღურბელავ, ა სამურავ, აქა, აქა, აქა, ატუგია ჭამეთ! (გეჯში შრატს უსხამს). დაძღით, ჩემო ძაღლებო, არ იჩხუბოთ-კია, თორო ხო ცით ჩემი ამბავი. (ისმის ძაღლების თან საჭმლის ღლვლეფა, ღრენა და პირით ჭლაპა-ჭლუპი) წადით თეოზე. თავთავის ბინა იცოდეთ. „სლუჟბა ზნაიშო“, რუსული მაინც არ გაგიგონიათ, თქვე ტიალებო. გასწით, აქ კუდებს ნუ აწუხებთ, თორო! (ძაღლები მიდიან და ფარეხის გარშემო სხვა-და-სხვა ადგილას წვებიან).

ბექანი (მოდის. ქოხის კარებზე ჩობახს მიაყუდებს). შინა ხარა ე?

იორამი. შინა ვარ, ძმაო, შინა. მოდი, გენაცვალე მა გარჯილობაში, სუ ყველა დააქამკრია?

ბექანი. სუ ყველა, ერთი მარტო ცხენები არცადა ჩან.

იორამი. რა უნდა, მოდი დაჯე, თუ ღმერთი გწამ. ე მანდ ჭალ-ჭალის პირებში სამ გაეღეტებოდენ, რა მგელი დასჭამს. ის-კი არა, ბექანო, მე ერთი საქმე მწადიან გულით და არ ვიცი, შენ რას მირჩევ, რას მეტყვი, აქა-იქ სასაუბროდ-კი ნურა გრჯის-რა, თავის-თავადაც-კი გამოჩნდება საქმე.

ბექანი. შენგნით არ მიკვირსა, რას ამბობ, თუ ღმერთი გწამ. ქვეყანაზე ვიუბნო, განა ბალღი ვარ, კაცო?

იორამი. შენი უცოდარი-კი, ჩემს ძმას გიამბო, არ არი ეს საქმე. შენც შაგელიშნა-კი ის ერთი სურიელი.

ბექანი. ვინა? რომენი?

იორამი. აი ემა შალვაის დედაკაცი.

ბექანი. ჰოო, ვიცი, ვიცი ახლა-კი მივხვდი.

იორამი. აბა უყურე შენ დედაკაცის ნამუსსა და ღმერთსა, ჯერ ერთი წელი არც კი შაჰსრულებია მა რძეძალლსა და ვერ უყურებ რა საქმეებს იწყობს. ეხლავ სხვას გადაეკიდა. წადი და შენ ღმერთი სთხოვე მაგ იუდის კერძსა. ჰაი, ნეტავი ერთი შალვას ჩემსავით-კი აცოდინა (იცემს გულზე ხელს). მერმე ვისა? ქიზიყელი რამ არა ჰყავს ივანეს ჩობნად, ღამ-ღამ იმასთან იპარება თეოზე. ვინ გაუგებს, ქმარი შინ არა ჰყავ, წყემსი კაცია, დედამთილი გადაყრუებულია სიბერისაგან, ძმისწული ჰყავ-და, ბალღია. მებრალება შალვა, კაი ვაჟკაცია, ცოდვაა, რო ეგ უნამუსო იმას ქუდსა ხდიდეს. სწორჩიით უნდა არჩევდესა. ამაღამ ეგ გოგიასთან წაუსვლელი არ დადგება, ალლო ავართვი, გაღმაით ივანეს ბინების პირდაპირ ბორბოწიაობდა რასამ, ერთს გამჩვენობაში იყო, სწუხდებოდა, ეშმაკის ცხენაზე ჯდებოდა, ეტყობოდა.

ბექანი. განა თვითონ შალვას არ ეცოდინება?

იორამი. არ იცის, არა, და იქნება ეჭვი-კი ჰქონდეს. იცი მე რა მწადიან ხა, ხა, ხა, ხააა! უნდა ხაფანგი დაუგო. არ მინდა შალვამ გაიგოს, რომ იმის დედაკაცს რა განზრახვითაც დაუგე ხაფანგი. არა უშავს-რა, თვითონაც მიჰხვდება. ერთი მაგ უნამუსოს ერთი კაი „სტუკა“ უნდა უგდოთ, ეგებ როგორმე დავაშლეინოთო. შაუ-შუაღამეთ ხეტება... ეს-კი იცოდე, ზევით როცა წავა ხევს გაღმით ჯაგიანზე, მამულის ბოლოებზე ბილიკით დავალის და იქით რო დაბრუნდება, რაკი თავის ეშმაკს გაალაღებს, გამოღმითაზე ჩამაავლის, მგელთეველზე ბილიკზე გამაივლის, აი ე მანდ რო ველ არი, მაგაზე, სად არი ი მგლის ხაფანგი?

ბექანი. ხაფანგი აქ არი, მაგრამ ვაი თუ ხათაბალა რამ გახდეს, ჯანაბას ერთის თავიც და მეორისაც, იაროს რამდენიც უნდა...

იორამი. არა, ბიჭო, შენ არ იცი მე როგორ გულით მინდა მაგ ზუვს მგელს ამოაშხამო ეგრე სიარული... განა იმის ქმარს-კი გავაგებინებ რაადაც დაუგე ხაფანგი. გეებას, ერთი გეებას, შენის კარგა ყოფნითა, მე მეტი არა მინდა... რაკი გაემბის, მე ვიტყვი, მგელს დაუგე ხაფანგიო, ქვეყანა გაიგებს, შალვაის ყურადაც ჩავარდება. იკითხავს, სად მაება იმისი ცოლი, როგორ იყო საქმე, რა დრო იყო, რაისად დავიდოდა, რა ედვა, რა ესაქმებოდა შაუ-შუაღამეთ იქაო და ამასობაში გაიჩხრიკება საქმე... ერთი მაგ იუდის კერძს, შუბივით რო დაჰმწვეტებიან თავ-ლაშნი, ერთი მაგისად კარგა მაღლა დავატაცებინებ ი უნამუსო გაზასა, რაც მაჰხდება, მაჰსდეს. დედაკაციიი! ღმერთმა დასწყევლოს... დედაკაცმა არ გამამირია ნახერი! აი ნახევარი თმა მაგან გამითეთრა. რამოდენა დავა-დარაბა გამოიარე. თვითონ დამიპირა იმ რძე-ძალმა. წაველ გამოსატაცებლად... გამამყვა, ძალა არა მიხმარებავ... გზაზე მამეწივნენ ქალის ძმა - ბიძაშვილები, ეხოცეთ ერთ-ურთი, ვჭერით, იმათ მე მჭრეს, მე ისინი ვჭრენ. აი ვიდავეთ, აი ვიდავიდარაბეთ, რა ზღვენი, რა სახვეწარი არ მიმატანინეს. როგორც იყო, ქალი დავინარჩომე, ჩემს ძმას გიამბო... იმ ზაფხულს ლაშარს წაველით, ჩემს ძმას უამბო. გაიმართა, როგორც იცოდე, ლხინი. დაიწყეს ქალ-ვაჟთ ერთად თამაშობა. ჩემი დედაკაციც ერთს სიგრიგელაში გამოდიოდა. ვუყურებ თვალი და თვალი ერთს სურიელზე ჰრჩება, ერთხელ თვალიც ჩაუკრა. აბა იმ ბიჭმაც შალიშნა და შაწუხდა ისიც. რა ვქნა, როგორ არი ჩემი დედაკაცის და ამ კაცის საქმე?— ვამბობ ჩემს გუნებაში. თან ვეჭვობ, თან არც-კი მინდა რო ვიეჭო; ამისთანა საქმეში ხო ისე იცის კაცმა... ეჰ, მაშინ აბა რა იქნებოდა! კარგა ნასომი ვარ, მაგრამ გულში-კი მაქვს და ვეუბნები ჩემს თავს: ამაღამ, ჩემო თავო, ნუ დაიძინებ, იფთხილე. ე დედაკაცი, როცა შენთანა წევს, გეხვევა, გეტოლება, და იქ სხვას თვალს უცემს, ერთი მაგისი ავ-კარგი გაიგეო. შუა ღამეა. მე თავი მოვიმძინარავე და დავიწყე ხვრინვა ოღონდაც ჩემს ძმას უამბო, ამ ჩემს დედაკაცს კაცი-კი შემოეპარა. ეს დედაკაცი გადაბრუნდა პირ იმისაკე.. ვოჰხმე, ვოჰხმე! რო მამაგონდება, თავში დამკრავს ქრიანტელი და ფეხებში გამეარდება, ჯინჭველებივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსეთში მყოფი ევროპელები ამიტომ დიდს პატივსა სცემენ მირზა-ალი-ხანს.

მესამეა მინისტრი საერო განათლებისა, ვაჭრობისა, მთა-მადნებისა და ტელეგრაფებისა, სახელდობრ ალი-ყული-ხან-მუხბერ-ოტ-დოულე. ეს მინისტრიც საქებელი კაცია თავის განათლებითა და ნასწავლობით. დიდი ღვაწლიც მიუძღვის სპარსეთის წინაშე. მან მოჰფინა ტელეგრაფის მავთულებით მთელი სპარსეთი, იგი ამუშავებს მადნებსა და აწყობს წესს ვაჭრობისა და ალებ-მიცემობისას. ბევრი გააკეთა აგრეთვე შაჰის ერთად-ერთის სკოლისათვის, რომელიც ევროპიულ სკოლად გადააქცია.

მეოთხე ჩამომავლობით სომეხია, სახელდობრ ჯევანხირ-ხანი, რომელიც აგრეთვე განათლებულ კაცად ითვლება. კარის კაცთა და დიდებულთაგან ირანის მბრძანებელს ახლავს მეჰდი-ყული-ხან-ჯეჯ-ოდ-დოულე, სიძე შაჰისა და ეკონომი იმისს სასახლეში; ემინ-ხალვეთ, ობერ-ცერემონიმეისტერი და უფროსი პაჟთა კრებულისა; ემინოს-სულტანე, რომელსაც ცოლად ჰყავს და მთავარ-მინისტრისა; მამედ-ჰასან-ხან-ეკბალოუს-ეს-სულტანე, რომლის მოვალეობაც ის არის, რომ მუდამ და ყველგან თან ახლდეს შაჰსა. ამ უკანასკნელსვე აბარია ბეჭედი და რედაქტორობა გაზეთის „ირან“-ისა, „ეტტელ“-ისა, „Echo de Perse“ და ჟურნალისა „შერეფ“.

შაჰს ახლავან კიდევ სედიქ-ეს-სულტანე, ექიმბაში ფრანგი ტულეზინი, რვა გენერალი და 21 შინა ყმა. სულ ამალაში 110 კაცია. 40 კაცამდე ამ ამალაში მყოფთა მოსამსახურენი იქმნებიან, ასე რომ შაჰთან ერთად ჰნახავს ევროპას სულ 80 კაცზე მეტი სპარსელი.

⁂ 1 მაისს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. სხვათა შორის ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაჰხვდეს ჩვენი ქალაქი მის უდიდებულებას სპარსეთის შაჰს. ამ საგანზედ ადგილობრივმა მთავრობამ მოსწერა ქალაქის თვით-მართველობას, თუ რა გვარი მონაწილეობაც უნდა ჰქონდეთ ქალაქის წარმომადგენელთ ირანის დიდებულ ბატონის დახვედრაზე. ხმოსანთ თავადმა ბებუთოვმა, მ. ი. თამამშოვმა და სხვებმა განაცხადეს ცხარე სურვილი, რომ რადგანაც ქალაქის თვით-მართველობა შეადგენს განსაკუთრებულსა და დამოუკიდებელს დაწესებულებას, ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ადგილობრივი მთავრობა დაეკითხებოდეს ხოლმე ქალაქის საბჭოს, თუ როგორა ჰსურს ამ უკანასკნელს მონაწილეობის მიღებ ამა თუ იმ საქმეშიო. მცხოვრებნი ტფილისისა დიდი სტუმართ მოყვარენი არიან და, ვითარცა წარმომადგენელნი ასეთის ხალხისა, ჩვენ დიდის სიამოვნებით ვსცემთ პატივს სპარსეთის მბრძანებელს, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ასეთს ძვირფასს სტუმარს ყველა ხმოსნები-კი ვერა ჰნახავენ და კანცელარიის უბრალო მწერლებს-კი აჩვენებენო. კარგი იქნება, ქალაქის თავმა იშუამდგომლოს, რომ ყოველ ხმოსანს ჰქონდეს ადგილი შაჰის დახვედრაშიო. ქალაქმა ასი თუმანი გადასდო ჩირაღდნების გამართვისა და პურ-მარილით რკინის გზის სადგურთან დახვედრისათვის.

იმავ კრებაზე განხილული იყო წინადადება ბ-ნ ყორღანოვისა, რომელსაც ავჭალის ქუჩაზე გაჰყავს ცხენის რკინის გზა. იგი აცხადებდა, რომ პირობის წერილში ჩემი ამხანაგიც იყოს მოხსენებული, ვითარცა მონაწილე ამ საქმისაო. საბჭო ერთ-ხმივ დასთანხმდა ასეთს წინადადებაზე, მით უმეტეს, რომ კონტრაგენტებმა უკვე წარუდგინეს გამგეობას შესაფერი გირაო.

მესამე საყურადღებო საგანი ის იყო, რომ საბჭომ აპატია რამდენსამე შეუძლებელ მცხოვრებელს დასაფასებელი გადასახადი თვრამეტ თუმან ნახევრამდე.

უფრო ცხარე ბაასი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ შესახებ თ. მიქელაძის წინადადებისა, რომელიც განხილულ იყო 13 მარტს ამ წლისას და რომლის გამოც ქალაქის საბჭომ მაშინვე დაადგინა განაჩენი, რომ აუცილებლად საჭიროა ღონისძიება რამ იქმნას შემოღებული საკლავ ხვადაგის გასინჯვისაო. საბჭომ დაავალა გამგეობას, რომ განეხილა მიქელაძის მიერ წარდგენილი ღონისძიებანი და მათ შესახებ ორს კვირაზე დაემზადებინა თავისი აზრი. 1 მაისს გამგეობამ მოახსენა საბჭოს, რომ ჩვენ არ გაგვიხილავს წინადადება ხმ. მიქელაძისა, რადგან 13 მარტის განაჩენში გადაწყვეტილად არ იყო ნათქვამი, კრიტიკულად უნდა განვიხილოთ ღონისძიებანი პროექტისა თუ პირდაპირ მივიღოთ ასასრულებლადაო. საბჭომ ნება დაჰრთო გამგეობას, რომ კრიტიკულად განიხილოს წინადადება ხმ. მიქელაძისა და ორს კვირაზე წარმოადგინოს თავისი აზრი.

⁂ ჯავათი: უმთავრესი ცეცხლი და გენია ჩვენი გახლავსთ პურის მოუსავლობა. პურის სყიდვით დიდ-ძალს ვალსა და განსაცდელში ჩავცვივდით. ამ გარემოებამ ბევრს კაცს მხარზედ ხურჯინი აალებინა მოწყალების სათხოვნელად... ამასვე დაერთო, წარსულს ზამთარს, საქონლის ჭირი, რომელმაც ზოგიერთა სოფელი სულ მთლად გაანადგურა და ბევრს ოჯახობას ბოსლის კარები გამოუკეტა.

ამას ზედ მოჰყვა ათასი სხვა-და სხვა წვრილმანი ხარჯი-გადასახადი: „კანცელარიისა“ და მწერლის ხარჯი და ბევრი კიდევ სხვა. წვრილ-შვილი საცოდავად შემოგვჩივის უპურობას, მოვალეები და ხარჯის მკრეფავები კარზედ გვადგებიან სოფლის მოხელე-იასაულითურთ.

ამიტომაც კელავ ვეძებთ ფულიანს კაცებს, რომ ვალი ავიღოთ, მაგრამ ვინ იქნება ისეთი თავიდგან ხელ-აღებული, რომ ჩვენ ფული გვასესხოს. ასეთი კაცები, რასაკვირველია, იშვიათად მოიპოვებიან და ვინც-კი არიან, სხვა ნაირად იქცევიან—სანდო კაცების თავდებობითა და „ნოტარიუსის“ მიერ შემტკიცებულის ბარათებით გვიმართავენ ხელს თითქმის მთელს სოფელს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ თუ ვალს გადავაცილებთ, „ნეუსტოიკა“ გადავიხადოთ. ყველა ვერა ჰშოულობს ასეთ ფულიან კაცებს, თორემ დიდის სიხარულით აიღებდნენ ვალს და „ნეუსტოიკას“ გინდ ერთი ათასად დაიწერდნენ, ოღონდ წვრილ-შვილი შიმშილობისაგან დაიხსნან და მოვალეები მოიშორონ თავიდგან. ახალქალაქელი სომხები ფულს სესხად-კი არ გვაძლევენ, შეშაზედ გვიცვლიან. როდესაც გაჭირებულებს გვნახავენ, თითო თუმანს გვაძლევენ და ამ ფულში თითო საჟენს შეშას გვახდევინებენ სახლში მიტანით. ამათ პირობასაც რომ ვასრულებდეთ, კიდევ კარგი იქნებოდა, მაგრამ ვერ ვასრულებთ, შეშას თავის ვადაზედ ვერ ვაბარებთ, რადგან მთელს ზაფხულს ერთ საჟენის მოტანასაც ვერ ვასწრობთ იმ სიშორე სამი-ოთხის დღის სავალ ტყიდგან. ამიტომაც ახალქალაქელები ერთი-ორად გვახდევინებენ შეშას, რომლის მოტანაში ვხოცავთ ჩვენს უკანასკნელს ხარ-კამბეჩს და უხნავ-უთესები ვრჩებით.

⁂ გორი: ამ დღეებში აქ ერთს დუქანში მისულა ერთი ვიღაცა ოსი ღამის გასათევად და თან ქალი მიჰყოლია. ღამე მედუქნეს ოთახიდგან ქალის ტირილი გაუგონია, მისულა და დაუწყია კარების რახუნი. ოსს პასუხის მაგიერ რევოლვერი უსროლნია რამდენჯერმე, მოსულან პოლიციელები, კარები შეუმტვრევიათ და ამ დროს ერთს პოლიციელს ფეხში ტყვია მოჰხვედრია. ოსი ამბობს თურმე: ქურდები მეგონა და იმიტომ გავისროლე რევოლვერიო. ოსს გაუჩხრიკეს ნივთები და, როგორც ამბობენ, ნაქურდალიც უპოვნეს.

⁂ გაზეთები გვაუწყებენ, ვითომ ბუხარის მართებლობას მიუმართავს რუსეთის ფინანსთა სამინისტროსათვის და უთხოვნია, რომ რუსეთმა ბუხარას ნება დართოს ჰზიდოს უცხოეთის ნაწარმოები საქონელი ბუხარაში და ბაჟი არ გამოერთვას შავის ზღვის ნავთსადგურებში, კავკასიის რკინის გზაზე, კასპიის ზღვასა და იმიერ-კასპიის რკინის გზაზეო. ამ საგნის შესახებ მოსკოვის საბირჟო კომიტეტს თავისი აზრი წარუდგენია სამინისტროსათვის.

## სპარსეთის შაჰის მობრძანება და ყოფნა ტფილისში.

3 მაისს მობრძანდება შაჰი ბაქოს რკინის გზით ნაშუადღევს 5—6 საათზედ.

ვოგზალზე მიეგებებიან: მთავარ-მართებელი, ვიცე გუბერნატორი, გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი თავად-აზნაურობითურთ, კომენდანტი, ქალაქის თავი გამგეობის წევრთა და საბჭოს ხმოსანთა კრებულით, პოლიცმეისტერი და დეპუტაციები სპარსეთის ქვეშევრდომთა, რომელნიც ტფილისში სცხოვრებენ.

ვოგზალზე იქნება საპატიო ყარაული. ქალაქის თავი მიართმევს შაჰს პურ-მარილს. ვოგზალის კარ წინ იდ-

---

რაებით დამივლის ფეხის გულზე და თითებში. ეჰ, აბა რაღა გითხრა... გადმობრუნდა ეს დედაკაცი, ის-კი გაისტუმრა, უფრო მეხვევა და მეტოლება: „ვაი, ვაი, რა ძალიან მიყვარხარო“,—თან იმას მეუბნება ი რჯულზეით ხელ-აღებული. მაგისად რა ფიც გინდარისო. ახლა მე უთხარ, თუ შენ არა, ხის კაცი ეხლა, რო ემაში გეწვა.. გაშრა ეს დედაკაცი, ჩაუვარდა ხმა, გამტკნარდა და ალივით ცხელს ორთქლს მაყრიდა თვალ-პირში.

ბექანი. რამ გულმა გაგიძლო, რო ორნივ არ დაჰხანჯრენი?

იორამი. ისე როგორმე გავხდი, სუ გონთით გადავვარდი, სუყველა დამავიწყდა... მაშინვე შავკმაზე ცხენები, ჩემს ძმას უამბო. ხელიც არ დამიკარებავ დედაკაცისად, ლაშარის ჯვრის მადლმა, შავსვი ცხენზედ და საგათენებოდ შინ მოვიყვანე. ჩავუწყე თუ რამ თავისი ოხერი და ტიალი ჰქონდა, სათავნო ეშმაკი, ქაჯი, აუკიდე ცხენზე და მივგვარე თავის დედ-მამას. მაშინ-კი ველარ მოვითმინე. დავტაცე თმები, წამოვაპირქვევე და უთხარ: „აქ დახჩეულხარ ძაღლობას და აქვე მაინელეო“. ავდეგ და წამუედ შინა. მას აქეთია მე დედაკაცს აღარ ვენდობი, როგორც ეშმაკს არ ენდობა კაცი. მე იმისად არც არა ცხვირ მამიჭრავ, ჩემს ძმას უამბო, არცა-რა ხელი. სუ ის მინდა, კაცო, მას აქათ, რო ყველა ქმრის მოლალატეს ცოლს ამაჰშჰამდეს ღალატობა და ძაღლობა.

ბექანი. შენ საქმე წინავაც გაგონილი მქონდ; მართლა ისრევა ყოფილა, როგორც ამბობდენ. რაისად უნდოდა, ქალთა თავი რა საცოლია, საითრა აუთრევ-გაუთრევავ!?

იორამი. მე საითლა ავითრიე?! რა ვიცი, რას თვალზე ჰნახავს კაცი ქალსა, ან თუ ქალი კაცსა. ჭიჩოს ვაჟის მაყრად წავიდა შალვა; იქ ქორწილში ენახა, მასწონებიყო. მოწონებასაც მოწონება ჰქვიან, კაცო, სუ თავი გადიკლა, გინდადრობით არ იქნება და არ იქნება, უნდა შავირთოვო. შაირთო და აგერაი, ეხლა ნახოს გემო წევოსი, აი! (იცქირება ქოხის კუთხეში). აბა, თუ ძმა ხარ, ემანდ შენს გვერდით იქნება ის ხაფანგი, მგონავ ხალის (ქუმელი) გუდა უნდა ეფაროს.

ბექანი. მაშ აღარ იშლი, ბიჭო, აღარა!? თუ საით ფეხი ჩასცა, ფინთად-კი დასტაცებს, ძმობის მადლმა, ი კაჩას. ძალიან მაგარი კამალეებია და ვერც ამააძრობს ფეხსა, თუ არავინ მიიშველია.

იორამი. გოგიას თუ მიიშველიებს, აბა სხვას ვისა?! (იცინიან) ისეთს ადგილს დაუგებ, რო გოგიას ხმას ველარ მიაწვდენს. (ჰსინჯავს ხაფანგს) შვიდ-რვა მგელი დავიჭირე ემითა და ერთიც არ წამსვლია.

ბექანი. დუშმანია, რო მართლა გაებას ი მამლების მოყვარე გელი, ძალიან სეირი-კი იქნება, ღმერთის მადლმა (იცინის).

იორამი. აი თუ არ გაებმის და აქ არ გამოჩნდებაა. იასო ქრისტეს მადლმა, კუდიანი-კი არა ვარ, ღმერთო დამიხსენ, და გული მეუბნება უნდა ის ზუვი მგელი გაებას... ჯერ-კი ადრეა. ქათმის ყიულამდე ის გოგიას თავს ვერ დაანებებს და ნამდვილად ისე დროს გაებმის, რომ ხაფანგიც გაითრიოს, კიდევ შუა-გზაზე გაუთენდეს... აბა მაშინ იქნება სეირი. აბა ვივახშმოთ არ არის დრო!? ემაგას ეყოფა, მაიწვევოდა კიდეც, გადმოიღე, თუ ღმერთი გწამ, თოხლის ხორცია, ეყოფა.

ბექანი. არამც ცომა იყოს.

იორამი. ცომა-კი არა. მგელი სუ ცომას არა სჭამსა, მაგრამ ბიჭობით-კი ვერავინა სჯობია. გადმაიღე, გადმაიღე, თუ ღმერთი გწამს; მშიან, მშიან, რო სუ კბილები მიკაწკაწებს.

ბექანი. აჰა, ესეც გადმოიღე. (მააქვს სის თეფში და იღებს ზედ ყაურმას. ორივენი ერთს ჯამში სჭამენ). ჭამე, თუ ღმერთი გწამ, კარგა გაძღ. ხვალ თოხლს დავიკლავ, თუ გაიმარჯვებ (ამ დროს ძაღლი შემოჰყეფს თავს). წამოთეო! სად მეეხირები, შე მუდრეგო?! გასწი, ცხვარს თავს ნუ ანებებ. დაიყარეს ძაღლებმაც ყაურმის სული.

იორამი (ამოხოცინებით). ჰო, ახლა-კი გავძღ და დროც არი წავიდე. (იღებს ხაფანგს და გადის გარეთ) როგორი უკუნეთია! (მიდის და მიაქვს ხაფანგი) ღმერთო და ბედო!

ბექანი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ხა, ხა, ხა, ხააა!

იორამი. გიშველა ღმერთმა! (მიეფარება).

ბექანი. (თავისთვის) ცხვართან თუ გავილი... (იღებს ნაბადს და მიდის ისიც) ახი-კი იქნება, ის შრატ-ძაღლი რო გაებას. (წამოწვება ფარეხის პირას და შესცქერის მოღრუბლულს ცას, რომელზედაც თითო-ოროლი ვარსკვლავი-და ჰბჟუტავს. კარგა ხანი ამ მდგომარეობაში. ძაღლები იწყებენ ყეფას). მოალის სამა, კაცის ხმაზე ჰყეფენ.

იორამი. (ძაღლებს) ვაი თქვენდა და ცეცხლი და ნავთი. რასა ჰკავკავებთ!? მანდა ხარა, ბიჭო?

ბექანი. აქააა. მოდი, მოდი. კი დაუგია, რა ჰქენ?

იორამი. იქითას პირში დაუგე, პირველს გადმოსაჩენში, და ლამაზადაც დაუგე, ძმობის მადლმა, ვედარცაით ასცდება.

ბექანი. როგორ რა გაიყიდება ნეტარ მაგ მგლის ტყავი?

იორამი. აღარც ასი თუმანი ეღირებააა. ტყავი და რა ტყავი მემრე. ხუმრობაა, ბიჭო, სუ ოქროს ბეწვი ასხავ (იცინის)

ბექანი. შენ ხო ნავსი ხარ, იორამო, და რა კარგა დაგხვდებოდა ქალთათავი, რომ გამოეხსნებოდა როგორმე ი ხაფანგშიით. წაიღებდა შინა და აღარ მოგცემდაა (იცინის).

იორამი ალალი იყოს, ძმაო, სხვის უშველლად-კი დაეხრწიოს ხაფანგშიით... არა, ბევრს-კი იწვალებს, ბევრს ეცდება და იმაობაში ჩამაალევს კიდეც დღე-ქამთა, შუა გზაზე თენებაც მაასწრობს. მაშინის არის კიდეც საქმე-და! (იცინის) აბა თუ გეძინება, დაიძინე, მე-კი ვიყარაულებ.

ბექანი. დავიძინებ, შენმა მზემ, ჩემმა, ერთი კაი სიზმარიც უნდა ენახო (იძინებს).

იორამი. თუ კა სიზმარი არა ჰნახე, ვა შენს ტყავს (ეურდნობა ჯოხზე და სთვლემს).

(დასასრული ხვალ)

## დედათა უფლების საქმე

(შემდეგი *)

ჩვენ შევეხეთ საშუალ საუკუნეების ევროპიელ ქალის მდგომარეობას. ეხლა საჭიროა გადავავლოთ თვალი ჩვენს სამშობლოსა და ცოტაოდენად გავიცნოთ ქართველის ქალის ყოფა-ცხოვრება. ჩვენ ვეხებით ცალკე სამშობლოს იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა დიდის ხნით თითქმის სრულიად მოწყვეტილი იყო ევროპას და ამიტომაც ბევრ გვარ მხარეს იმის ცხოვრებისას თავისებური ფერი და ხასიათი აქვს. ეს თავისებურობა ეტყობა აგრეთვე ქართველის ქალის მდგომარეობასაც. ჩვენი სამშობლო ძველადგანვე ცნობილია, როგორც ქვეყანა ქალთა დევ-გმირობისა, ქალთა თაყვანებისა და გალმერთებისა.

*) იხ. „ივერია“ № 91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან ჰამქრები და ტფილისში მყოფნი სპარსეთის ქვეშევრდომნი ზურნადაფით.

როცა შაჰი წამოზრძანდება ვოგზალიდამ, ზარბაზნები იქნება დაცლილი.

გზა-გზა მწკრივად ჯარი იდგება ქუჩებში სასახლემდე.

სასახლეს კარ-წინ დაჰხვდებიან შაჰს საპატიო ყარაული და თანაშემწე მთავარ-მართებლისა.

სასახლეშივე დაჰხვდებიან ყველა გენერლები და უფროსნი ჯარებისა, უფროსნი მოხელენი საერო უწყებისანი და უცხოელი კონსულები.

სალამოზედ ქალაქი გაჩირაღდნებული იქნება.

4 მაისს მისი უდიდებულესობა სასახლეში დაჰყოფს. დილის პირველს საათზე, თუ შაჰი ინებებს, ინახულებს კადეტების კორპუსს, პირველს კლასიკურს გიმნაზიას, წმ. ნინოს სასწავლებელს და მუზეის. სალამოს ექვსს საათზე სადილი იქნება დამზადებული 120 კაცისათვის, რომელთაც, თავის სურვილისამებრ, მოიწვევს მთავარ-მართებელი. სადილთ უკან მის უდიდებულესობას მიართმევენ ჩაის სასახლის ბაღის ბაქანზე. $8^1/_2$ საათზე დანიშნული იქნება საზაფხულო თეატრში წარმოდგენა. წარმოდგენაზედ დამსწრეთ მთავარ-მართებელი მოიწვევს ცალკე ბარათებით. სასახლიდამ თეატრამდე ქუჩებს გააჩირაღდნებს ქალაქის მმართველობა.

5 მაისს, დილის $7^1/_2$ საათზე, სასახლეში შეიკრიბებიან ყველანი, ვინც პირველად დახვდება სასახლეში. დილის 8 საათზე შაჰი გამოეთხოვება ტფილისს და გაემგზავრება რუსეთისაკენ კავკავის გზით.

უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენაში ყველა დამსწრენი მუნდირებში უნდა იყვნენ და ვისაც სპარსული ორდენები აქვს ნაბოძები, უნდა ის ორდენები გაიკეთოს. ლოჟებში მარტო ქალები იქნებიან და ისინიც უთუოდ გულ-ამოჭრილის კაბებით უნდა იყვნენ.

## წვრილი ამბები

ამერიკის გაზეთებში მოთხრობილია ერთი სამაგალითო ამბავი, რომელიც ნათლად ჰხატავს, თუ ტეხსას ის მოქალაქენი რა თვალით უყურებენ სამართალს. ერთი მორთული კაცი, ფრიად რიგიანის თვალ-ტანადობისა, ამერიკის ქალაქ ტეხსასის სასამართლოში მიიწვიეს თურმე. ამ კაცს ის ბრალი ედებოდა, რომ ცხენის რკინის გზის მეეტლესათვის დამბაჩა ესროლნა და მოეკლა. მსაჯულმა მოსამართლემ ჰკითხა თურმე ბრალდებულს: „რას აკეთებდა მეეტლე მაშინ, როცა დამბაჩა ესროლეთ?“ — „ცხენებს ერეკებოდაო“, უპასუხა ბრალდებულმა. — „იცნობდით წინად?“ — „რამდენადაც მახსოვს, არასოდეს არ უნდა მენახოს თვალით“. — „თუ აგრეა, მალიან სასტიკად მოქცეულხართ, რომ მოგიკლავთ, და ასეთი შეუბრალებელი კაცის - კვლავ ჯერ არ გამიგონია!“ შენიშნა თურმე მოსამართლემ. — „უკაცრავად, ბ-ნო მსაჯულო, თუ მაგ თქვენს აზრს არ დავეთანხმები. ამ საქმეს, უფრო თვალნათლად დასანახავად, დაწვრილებით გიამბობთ. დილის შვიდს საათზე ავდექი, საჩქაროდ გიახელით საუზმე და საჩქაროდვე გავწიე ცხენის რკინის გზის ლიანდაგისკენ, რადგან საშური საქმე მქონდა და რვა საათზედ უეჭველად უნდა ვყოფილიყავი კანტორაში; სულ უბრალო დახანება და დაგვიანება დიდად მავნებდა და მაზარალებდა. იმ დღეს, როგორც თქვენც უნდა მოგეხსენებოდეთ, უსამაგლესი ტაროსი იდგა. ათი წუთი ვუცადე მატარებლის მოახლოვებას, განიშნე კიდეც მეეტლეს შეჩერდი-მეთქი, მაგრამ იმან ყური არ ათხოვა ჩემს ნიშანს, არხეინად გამიარა გვერდზედ და გადმომძახა: „მეორე მატარებელს მოუცადეთო“. ამ სიტყვებმა ძალიან გამაცხარა, მაგრამ ნება-უნებლიედ უნდა მელოდნა, რადგან ქარები მაქვს და გაქანებულს მატარებელზე ვერ შევხტებოდი. გავიდა თხუთმეტი წუთი და ამ დროს მეორე მატარებელმა გამოიარა. მე კვლავ განიშნე და კვლავ გადმომძახეს: «მეორე მატარებელში ჩაჯექითო». კიდევ თხუთმეტი წუთი ვიცადე, კიდევ გამოიარა მატარებელმა, კვლავ ყური არ უგდო ჩემს თხოვნას და იქვე დამტოვა. ასეთმა უკანონო საქციელმა მოთმინებიდგან გამომიყვანა. ყურები სულ ერთიანად გაყინული მქონდა და ფეხზედ ძლივს ვიდექი. გაბრაზებულმა ამოვიღე ჯიბიდგან დამბაჩა და დავიფიცე, რომ ცოფიან ძაღლსავით გავანთხევინებ სულს შემდეგს მეეტლეს, თუ ასევე მომექცა და არაფრად ჩააგდო ჩემი თხოვნა-მეთქი. დასასრულ გამოიარა მეოთხე მატარებელმა და ამ მატარებლის მეეტლემაც მირჩია, მეორე მატარებელს მოუცადეო. ვეღარ მოვითმინე და ვესროლე. აი, ამის მეტი აღარა მაქვს რა სათქმელი იმის დასამტკიცებლად, რომ ამ საქმეში სრული მართალი ვარ“. ამ სიტყვებს შემდეგ სასამართლოში დამსწრეთ დიდი ვაშა-ვაშა დასძახეს თურმე ბრალდებულს, ნაფიც მსაჯულთ-კი, ერთის წუთის თათბირს შემდეგ, ბრალდებული გაამართლეს და უდანაშაულოდ იცნეს.

— ვაშინგტონში ამას წინად კათოლიკეთა ზანგების კონგრესი ყოფილა. ამ კონგრესის თავმჯდომარედ ერთი რედაქტორი ზანგი ამოურჩევიათ. კონგრესზედ 14 შტატს გაუგზავნია თავისი წარმომადგენელი. ყოველს ამ 14 შტატში ოც-ოცი ეკკლესია არსებობს თურმე სასწავლებლებითურთ განსაკუთრებით ზანგებისათვის. არის აგრეთვე ზანგებისათვისვე მონასტრები დაარსებული. ამ მონასტრებში 150-მდე ზანგი ქალია დაბინადრებული.

— ბელციგში ერთს გერმანელს სანამდვილოდ 1887 წლის 4 მარტიდგან ამ 1889 წლის 26 თებერვლამდე თავისის საკუთარის ხელით გადაუწერია დაბადება და 5,000 მარკა მიუგია.

— გაზ. „Figaro“-ს სიტყვით, მთელის ქვეყნის ზურგზედ ყველაზედ უდიდესი მარგალიტი პარიჟში იპოვება თურმე. ეს მარგალიტი წონით 75 გრანია და 37,500 მან. ღირს.

— გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის ბრძანებით ყველა სამხედრო-სამეცნიერო სასწავლებლებში სტენოგრაფიის სწავლება შემოუღიათ. გერმანიას ამ შემთხვევაში წაუბაძნია ავსტრიისათვის, სადაც უკვე რვა სამხედრო სასწავლებელში ასწავლიან სტენოგრაფიას. ამას წინად ბერლინში პოლკოვნიკ ფრიკს წაუკითხავს საყურადღებო ლექცია იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა სასარგებლოა სტენოგრაფია სამხედრო საქმეში.

— ამას წინადვე მიჩიგანის შტატის ქალაქს ალესინში შემდეგი სასაცილო ამბავი მომხდარა: თორმეტს მათრახით შეიარაღებულს დედაკაცს ერთი ნიღაბ-აფარებული კაცი აურჩევიათ წინამძღოლად და შევარდნიან ღამე ვიღაც გარიბერტს. გადმოუგდიათ მძინარე გარიბერტი და ჩაუცმელი ქუჩაში გაუყვანიათ. აქ შეუგრავთ, გაუწვენიათ, მისდგომიან ათივე მანდილოსანი მათრახით და კარგად გაუმწრელებიათ. ამ სასტიკის სასჯელის მიზეზი ისა ყოფილა, რომ გარიბერტის ცოლს უჩივლია: ქმარი ცუდად მეკიდება და ვიღაც სხვა დედაკაცი ჰყავს საყვარლადაო. იქაურ ქალებს ასეთი საქციელი ამ კაცისა თავის შეურაცხყოფად მიუღიათ და გადაუწყვეტიათ, რომ დავსაჯოთო. ამ ქალებს დაუდგენიათ აგრეთვე, რომ ასეთივე დღე დაუყენოთ გარიბერტის საყვარელს ქალს, თუ თავს არ უშველის და ქალაქიდგან ცოცხალის თავით არ მოუშორდებაო. შეუტყვია გარიბერტის საყვარელს, რომ ასე მიპირობენო, და ალესინიდგან გაპარულა.

— სააღდგომო საჩუქართა შორის იმპერატორს გერმანიისას ვილჰელმს მიუღია საოცარი „წითელი კვერცხი“ ვისბადენის ერთის კონდიტერისაგან. გერმანიის გაზეთები ამ კვერცხს დიდის სიამოვნებით აწერენ და შეამკობენ. კვერცხის გაკეთებას კონდიტერი ექვს თვეს მოუნდომებია. მთელი უშველებელი კვერცხი შაქრისაგან არის გაკეთებული და დანდობილია ორის შაქრის კაცისავე მხარზედ: ერთი წარმოადგენს მოლტკეს, მეორე—ბისმარკს. კვერცხის ნაჭუჭზედ შაქრით გამოყვანილია იმპერატორის მთელი სახლობა. შიგ კვერცხში პაწაწა სამუსიკო ყუთია ჩატანებული, რომელიც პრუსიის საერო საგალობელს უკრავს. იმპერატორს ეს ახირებული საჩუქარი დიდის წყალობით მიუღია.

## დეპეშა

1 მაისი

ესსენი. ესსენის მთა-მადნების თითქმის ყველა მღვიმე-მაღაროებში დღეს აიღეს ხელი მუშებმა მუშაობაზე; პირი აქვთ შეკრული თითქმის 90,000 კაცს. შაბათიდამ მთელს დორტმუნდის არე-მარეში წესიერება არსად არ დარღვეულა. სხვა გვარი ამბები ამ საგნის შესახებ ტყუილია.

დორტმუნდი. გუშინ სალამოს წავიდა აქედამ ბერლინს დეპუტაცია მუშაობის ამკვეთელთა კომიტეტისა.

ბერლინი. გუშინ იმპერიის კანცლერის სასახლეში თავად ბისმარკის თავმჯდომარეობით კრება იყო პრუსიის სამინისტროსი. კრებაზე მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი და მიიღო მონაწილეობა ხანგრძლივს თათბირში, რომელიც შეეხებოდა მუშაობის აკვეთას მუშების მიერ რურის არე-მარეს ქვა-ნახშირის მადნებში.

---

ჩვენ ბევრი ვიცით ზოგი არაკული და ზოგი მართალი იმის შესახებ, თუ რაოდენი სიმტკიცე ხასიათისა, მხნეობა და დიდ-სულოვანება გამოუჩენია ქართველს ქალს ჩვენის ხანგრძლივის და მრავალ-ტანჯულის ისტორიის განმავლობაში. ვინ მოსთვლის, რამდენი ღვაწლი დასდო ჩვენმა ქალმა თავისის სამშობლოს საბედნიეროდ, რამდენჯერ დააკლა თავი მსხვერპლად. ვინ არ იცის, რა პატივისცემით იყო და არის გარემოცული სახელი ქართველის ქალისა. ვინ იცის, რამდენი ხმალი და ხანჯალი ამოღებული უკანვე ქარქაშში ჩაგებულა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ქალი წამდგარა წინ და ჩამდგარა ორ მოსისხლე მტერთა შორის! ყოველიფერი ეს კარგად იცის მკითხველმა და ამის დაწვრილებით მოთხრობით არც მოვაწყენთ.

ამ ჟამად მთელი ჩვენი გულის-ყური უნდა მოვანდომოთ იმის გამოძიებას, თუ როგორ უყურებდა ქალს ქართული კანონი. თუ ამ კანონში ვერ ამოვიკითხავთ იმას, რაცა ვსთქვით ჩვენის ქალის შესახებ, ეს ჩვენის აზრით ბევრს არაფერს ჰნიშნავს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ხშირად კანონი ერთია და ცხოვრება-კი სხვა. ჩვენდა საუბედუროდ, საკმაოდ მასალა არა გვაქვს ძველის დროისა და ამიტომაც უნდა ძალა-უნებურად დავჯერდეთ იმ წყაროებს, რომელიც ხელთა გვაქვს დღეს. ჩვენ მხოლოდ ვახტანგის კანონებზე დავემყარებით. ვახტანგის სამართლის წიგნში მოქცეულია რამდენიმე კრებული სხვა-და-სხვა კანონისა. ეს კანონები შეჰკრიბა და გამოსცა მეფე ვახტანგ მეექვსემ 1709 წელს. ამ წერილში არ შევეხებით არც სომხურს კანონებს, რომელთაც ჰხმარობდნენ სავაჭრო საქმეებში, არც მოსესა და კათოლიკოსების კანონებს, რომელნიც განაგებდნენ სასულიერო საქმეებს, და არც ბერძნულს კანონებს, რომელნიც იყვნენ დანიშნული მოსამართლისათვის მომქმედ კანონებთან შესადარებლად. მაშასადამე, დაგვრჩა სამი კრებული კანონთა: „ძეგლის - დება“ გიორგი მეხუთესი (1318—1346 წ.), ალ ბუღას კანონები (1441—1451 წ) და თვით ვახტანგ მეექვსის კანონები. სამწუხაროდ, ეს კანონები ერთობ მცირე მასალას იძლევიან ჩვენის საგნის შესახებ. გარდა ამისა მეფე გიორგის კანონების უმთავრესი ნაწილი სრულიად დაკარგულია. ჩვენ აქ ვიხელმძღვანელებთ ვახტანგის სამართლის წიგნის რუსულ თარგმანით (ფრენკელის გამოცემა).

რაკი გავიცნობთ ვახტანგ რჯულმდებლის „სამართლის წიგნს“, დავინახავთ, რომ კანონის წინაშე ქალი არ არის სწორი მამაკაცისა, არამედ იგი ითვლება უფრო დაბალის ღირსების არსებად, ერთის სიტყვით, ქალი პიროვნულადაცა და ეკონომიურადაც გაცილებით დაბლა სდგას მამაკაცზე. მხოლოდ ჩვენ აშკარად ვგრძნობთ, რომ თანდათან სუსტდება ამ ნაირი შეხედულობა კანონისა და ბოლოს ვახტანგის დროს ვხედავთ ქალს აღჭურვილს ზოგიერთ უფლებით. ჯერ თავდაპირველად ვნახოთ როგორ უყურებს კანონი ცოლის მოტაცებას, რომელიც ძველად ძალიან ხშირი იყო ჩვენში. კანონი ერთობ სასტიკად სჯის ამ გვარს მოქმედებას და ახდევინებს ბოროტ-მომქმედს ჯარიმას, სისხლის ფასს. ეს სისხლის ფასი არ იყო ერთი და იგივე, იგი თანდათან მატულობს, რაიცა ჰნიშნავს, რომ ქალს ფასი და პატივისცემა ემატება ქმრიანის ქალის მომტაცი ჯერ იხდიდა ნახევარ სისხლის ფასს (21 მუხლი „ძეგლის-დებისა“), შემდეგ-კი სრულს სისხლის ფასს (36 მუხლი „ალ-ბუღას კანონებისა“). თვით ოჯახშიაც ქართველი ქალი დროთა ვითარების მიხედვით უკეთესს მდგომარეობაში ვარდება, მეტი პიროვნული უფლება ეძლევა. თუ ქმარი უმიზეზოდ დასტოვებდა ცოლს, იგი იხდიდა ჯარიმას ცოლის სასარგებლოდ. ეს ჯარიმაც თანდათან იზრდება: ჯერ ქმარი აძლევს დაჩაგრულს ცოლს ნახევარ სისხლის ფასს „დიაცისადა გვარად“, როგორც ამბობს კანონი („ძეგლის-დება“), მერე, გარდა ამ ჯარიმისა, ქმარი უბრუნებდა ცოლს მის მიერ მოტანილს მზითევსა (ალ-ბუღა), ბოლოს თვით ვახტანგის კანონების ძალით ქმარი იხდიდა უკვე მთელის სისხლის ფასს და თანაც უბრუნებდა ცოლს მზითევს. ეხლა ვნახოთ ცოლს შეეძლო გაყრა ქმართან, თუ არა? უნდა ვსთქვათ, რომ ძველად სასტიკად აღკრძალული ჰქონდა ქალს ქმართან გაყრა. თანდათან კანონი რბილდება და აი ვახტანგის კანონები გარდა მრუშობისა ასახელებენ ორს შემთხვევას, როდესაც ცოლს ჰქონდა სრული უფლება დაენებებინა ქმრისათვის თავი. პირველი შემთხვევა იყო ის, როდესაც ქმარს არ შეეძლო ჰქონოდა ცოლთან ფიზიოლოგიური დამოკიდებულება, ე. ი. მოკლებული იყო მამაკაცობას, მაშინ ცოლს ჰქონდა ნება გაჰყროდა ქმარს (168 მუხლი); მეორე შემთხვევა ის იყო, როდესაც ქმარს სჭირდა რამე განუკურნებელი სენი, ან ბნედა, ან ქარები. ცოლი ვალდებული იყო ერჩინა ავადმყოფი ქმარი 5 წლის განმავლობაში და თუ ვერ მოარჩენდა, შეეძლო თავი დაენებებინა (225 მუხლი). ყოველიფერი აქ ნათქვამი ჰნიშნავს, რომ ქალის პიროვნებამ საგრძნობლად წიაწია წინ. რაც შეეხება ქალის ქონებრივს ვითარებას, აქ უპირველესად უნდა შევეხოთ მემკვიდრეობითს უფლებას. უნდა ვსთქვათ, რომ ქართველს ქალს ყოველთვის შეეძლო მიეღო მემკვიდრეობით მოძრავი ქონება, ხოლო უძრავის ქონების შესახებ დაწესებული იყო, რომ დას ძმასთან არა ჰქონდა ნაწილი უძრავს მამულში; თუ ვინიცობაა ქალს არა ჰყავდა ძმები, მაშინ იგი იყო მემკვიდრე მთელის სამკვიდრო ქონებისა ქართული კანონი არ აძლევდა ნებას ქალს მამულის გაცემისას, მამულის ჩუქებისას, გარდა ერთის შემთხვევისა; ეს იყო მაშინ, როდესაც ქალი შესწირავდა მამულს ეკკლესიას, ან მონასტერს სულის მოსახსენებლად. ჩვენი კანონი ერთობ სასტიკად უკრძალავდა ქალს მამულის დაგირავებას, პირობით შეკვრას ვისთანმე, და აგრეთვე თამასუქების მიცემას, მაგრამ რთული ცხოვრება სულ სხვას თხოულობდა და აი შემდეგ ხანებში ჩვენ ვხედავთ, რომ ცოლს ჰქონდა ნება ქმრის გარეთ ყოფნის დროს აელო ვალი საშინაო საჭიროებისათვის ქმრის სახელზედ იმის დაუკითხავადაც-კი. დასასრულ ამ მოკლე მიმოხილვისა მოვიხსენებთ ერთს გარემოებას ჩვენის წარსულ ცხოვრებიდამ. ეს ამბავი აშკარად დაგვანახვებს, რომ ქართველი ქალი თანდათან მაღლდება კანონის წინაშე. ჩვენ ვამბობთ იმის შესახებ, რომ თუმცა ქალს სასამართლოში შეუშვებდნენ, მაინც არ დააფიცებდნენ, არა სჯეროდათ იმისი ფიცი, ისე ჰფიქრობდნენ, რომ ქალი თავის დღეში მართალს არ იტყვისო. საბედნიეროდ ცხოვრების პრაქტიკამ დაამტკიცა ამ კანონის უსაფუძვლობა და აი 1784 წლის ერთს გუჯარში მოხსენებულია, რომ ერთი მღვდლის ცოლი დაფიცებულ იქმნა სასამართლოშიო. თუმცა ჩვენი სურათი ქართველის ქალისა მეტად მკრთალია, მაგრამ აქედგანაც შეგვიძლიან ის აზრი დავასკვნათ, რომ ჩვენებურის ქალის მდგომარეობასაც ეტყობა თანდათანი გაუმჯობესობა. საუბედუროდ, წყაროების უქონლობის გამო ჩვენი სურათი მივიყვანეთ მეთვრამეტე საუკუნემდე; შემდეგში-კი ჩვენთვის წყვდიადში იკარგება ქართველის ქალის ბედი. მით უფრო საყურადღებო იქნებოდა ჩვენთვის ამის გაგება, რომ მეთვრამეტე საუკუნე საზოგადოდ ცნობილია საერთო მოძრაობის საუკუნედ.

მ. გ—შვილი

(შემდეგი იქნება).

რეიხსტაგში ლაპარაკობდნენ დღეს, რომ ბერლინში გამოუწვევიათ დეპუტაციები მადნების პატრონებისა და მუშებისაო.

## 2 მაისი

(ჩვენის საკუთარის კორრესპონდენტისაგან.)

ალსტაფა. სამეფო მატარებელი მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის ნასრ-ედინისთვის ტფილისიდგან აქ გამოგზავნილი იქნება ხვალ, 3 მაისს. აქედგან ტფილისისკენ მატარებელმა ყოველ საათს 60 ვერსი უნდა გაიაროს და ორი ორთქლ-მავალი უნდა ჰქონდეს მობმული. თუ ალსტაფამდე არაფერმა დააბრკოლა შაჰის მგზავრობა, ირანის მბრძანებელი ტფილისისკენ სწორედ საღამოს $4^1/_2$ საათს წამოვა.

პეტერბურგის ბირჟა, 28 აპრილი

| | მყიდველნი იყვ. | გამყიდველნი იყვ. | გაყიდულ იქნა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 47 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 149 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 272 |
| —მეორისა | 245 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 98 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 98 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | $83^3/_4$ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.
მაისი 31 დღით არის.

3 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ტიმოთესი და მავრასი. კათოლ. პოვნა ჯვრისა უფლისა. მაჰმად. მე-15 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—40, ჩადის 7—12. მთვარე 15 დღისაა.

4 დღე ხუთშაბათი. წმ. და ღირსისა მოწამისა პელაგიასი. კათოლ. წმ. პელაგიასი. მაჰმად. მე-16 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—39, ჩადის 7—13. მთვარე 16 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელოგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელოგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | — | — | 50 | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

## ისყიდება

თეთრი და წითელი ღვინო

სოფელს ახალქალაქში. ღვინის გასინჯვა შეიძლება ყოველ კვირა-დღეობით. მსურველმა ადრესი ჩემი ჰკითხოს გრაკლის სადგურზე სადგურის უფროსს.

(4—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| თამარიანი, გუგუნავასი | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი | 3 | |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე | 3 | 60 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 25 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| დავით აღლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი | „ | 50 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ

ისყიდება

„საზოგადოების" კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა" ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Дов. ценз. Тифлисъ 2-го Мая 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე